№ 260
დეკემბრის 4, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 260
დეკემბრის 4, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს **1** მან. **50** კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი ,,**ივერია**" გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საჩხერეში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— არტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნ ა დ ე ჟ დ ა"

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა სიაში, სი..რში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**"-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—62)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

№ 20 ტელეფონი № 617.

სადებიუტო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, 1902 წ.

მიხეილ ქორიძის სადებიუტოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ო რ ი პ ი ე ს ა

I

ავადმყოფნი

დრამ. 2 მოქ. გ. გაუპტმანისა.

II

პირველად ახალი პიესა

დ ე დ ი ს ნ ე ბ ი ე რ ი

კომ.-ფარსი 3 მოქ. რუსულ. დ. აწყურელის თარგმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, მ. ქორიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ტარტიუფი" „მეჯლისი იტალიელებითურთ" (აბაშიძის ბენეფისი), „სიძე-სიმამრი", „გრიგალი".

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

განცხადება

ერთად-ერთი ჩემ თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავ-გადასავალი". ნათქვამია: „ყვავსაც თავის ბახალა მოსწონსო". შეიძლება დიდი არა იყოს-რა, მაგრამ მეკი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოლიფერია მოხსენებული, რაც-კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინც და მაინც, იმდენი არა არის-რა, რამდენიც სხვებისა. აქ არიან მოხსენებული: 1) ჩვენი მოღვაწეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოზის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის, და სხვათა მრავალთა, ვისიც წერილი-კი საზოგადო საქმეს შეხებია. 2) ბიოგრაფია საზოგადო მოღვაწეების და ჩემი პირადი შეხედულობა მათ შესახებ. 3) ბანკების დაარსება ჩვენში, წერა კითხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედ მოყოლებულ ავან-ჩავანებით. 4) ბატონ-ყმობის ამბავი. 5) ძველებური ზნეჩვეულებანი. 6) მათი გადაჯარდნა და სამაგიეროს შემოღება. 7) საისტორიო ანეკდოტები და სხვანი... ერთი სიტყვით, ჩემი შეძლებისა და გვარად, ნამდვილი სარკე ნახევარ საუკუნისა! ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობას თვით მე ვკისრულობ, რომ ჩემდა გუნებისად გამოიცეს, მრავალ ტომიანი იქნება. და რადგანაც ერთად მათი გამოცემა არ მეხერხება, ჯერ უნდა გამოიცეს პირველი ტომი, რომლის ბეჭვდასაც ამ იანვრიდგან შევუდგები. ფასი თვითოეულ ტომისა მანეთია და ვისაც ჰსურს შეძენა, რადგანაც ათასორასზე (1200) მეტი არ იბეჭდება, შეუძლია ამ თავითვე დაიკვეთოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Гутенбергъ", князю Акакію Ростомовичу Церетели და აგრეთვე ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში, შიო ქუჩუკაშვილის სახელობაზე და ქუთაისში ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში.

(5—2) **აკაკი.**

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.

3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.

4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და რევიზიო კომისიის სამის წევრისა.

5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.

6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.

7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.

8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **გაზებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ქუთაისის

საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა პატივისცემით განაცხადებს, რომ ამა წლის 22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია საგანგებო კრება ამა საზოგადოების წევრთა.

კრებას მოხსენდება:

ანგარიში მართებლობის რევიზიისა, რომელიც მოხდა ამა წლის მარტში, და წინადადება ბ- ფინანსთა მინისტრისა და განმარტება საზოგადოების რჩევისა და გამგეობის ამ ანგარიშის შესახებ. (3—6.—2)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვების ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 4 დეკემბერი.

ამას წინად ერთი ამბავი ასტეხა ევროპისა და ამერიკის გაზეთობამ რუმინელ ებრაელთა შესახებ. ისე ერთხმად, ისეთის გულ-შემატკივრობით ალაპარაკდნენ ყველანი, რომ კაცი იფიქრებდა — მადლობა ღმერთს, ძლივს ეღირსა მრავალ-ღანჯულ და ყოველმხრივ დევნილ ებრაელთა ტომს საზოგადო თანაგრძნობა; ძლივს შეიგნო განათლებულმა კაცობრიობამ, რაზომ უსამართლოდ ეკიდებოდა დღემდე ამ ნიჭიერ, ენერგიით აღსავსე, მომჭირნე და დაუღალავ მუშაკ ხალხსაო,—მაგრამ არ გაუვლია რამდენსამე კვირას და ყოველივე მინელდა, მიყუჩდა.

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე გახლავთ მცირე სამეფო, რომელიც, სწორედ შეუწყნარებლად იქცევა ებრაელთა შესახებ; ეს სამეფოა რუმინია. რომ ადგილი ნებას გვაძლევდეს, აქვე მოვიყვანდით ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში მთავრობის მიერ ებრაელთა უფლების შესავიწროებლად განკარგულებათა, რომელმაც თავის ულმობელობით უეჭველად უნდა ააღელვოს და აღაშფოთოს ყოველი რიგიანი ადამიანი. კითხულობ და ვერ მიმხვდარხარ,—ნუ-თუ მე-XX საუკუნეში ადგილი უნდა ჰქონდეს ევროპის სახელმწიფოში ასეთ უდიერობას, ასეთ სიმკაცრეს მთელის ერის მიმართ?!

რუმინიის კანონებით ებრაელი სასწავლებელში ვერ შევა, ვერავითარ სახელმწიფო სამსახურს ვერ მიიღებს,

ვერ ივაჭრებს, მოხელეობას ვერ გასწევს, ქალაქად ვერ დასახლდება, საკუთრებას ვერსად ვერ შეიძენს; ნება აქვთ მხოლოდ ნოქრად, ან უბრალო მოსამსახურედ დადგომისა და მოსიარულე მეწვრილმანობისა. ერთი სიტყვით, ბევრი არაფრით განირჩევა მათი და ძველი დროის ინდოეთის პარიების მდგომარეობა. მერე, რატომ ასე უწყალოდ რუმინიის მთავრობა ამ საწყალ ხალხსა? რა დაუშავებია? არაფერი, გარდა იმისა, რომ, რა საქმესაც მოჰკიდებს ხელს, წყაროს თვალივით წამოიყვანს, თითქმის არარაიდგან შეჰქმნის და აღორძინებს დიდებულ საქმეს. უყვარს შრომა და მშრომელს ხომ ღმერთიც აძლევს, მაგრამ ადამიანის შურიანი, ხარბი თვალი ვერ ინელებს სხვის უმჯობესობას; ოღონდ შენ წაგახდინოს და, თუ გინდ თავადაც წახდეს, არ ენაღვლება; დიაღ. მხოლოდ შურიანობაა მიზეზი, რომ ებრაელებს ასე შეუბრალებლად სჩაგრავს რუმინია.

განა მართლა ჰმართებს ვისმე მტრობითა და ზიზღით მოექცეს იმ ხალხს, რომელმაც არა ერთი და ორი უდიდებულესი კაცი შესძინა ქვეყნიერობას. მეცნიერების, გინდ ხელოვნების რომელ დარგს იტყვით, რომ ებრაელთაც არ ედვათ შიგ წილი და თვალსაჩინოც. პირიქით, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რაოდენობის მიხედვით, იმდენი სახელოვანი მეცნიერი, გამოჩენილი მხატვარი, მექანდაკე, მომღერალი, მემუსიკე და სხვა არც ერთ ერს მიუცია კაცობრიობისათვის, რამდენიც ებრაელებმა. მომავალში ვეცდებით უფრო დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ამ ბედშავ ხალხის წარსული და აწმყო.

რუმინიელ ებრაელთა უმწეო მდგომარეობამ ყველაზედ უფრო შეერთებულ შტატებისა და ინგლისის ყურადღება მიიპყრო. როგორც თვით მთავრობა ამ სახელმწიფოებისა, ისე ადგილობრივი საზოგადოება მეტად აღელვა რუმინიის მთავრობის საქციელმა. ვაშიგტონის მთავრობამ ნოტითაც-კი მიჰმართა რუმინიას, ყოვლად შეუძლებელია ებრაელების მაგ მდგომარეობაში დატოვება, ყოველივე ღონისძიება იხმარეთ, რომ მათი ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოთო. შეერთებული შტატები სხვა დიდ სახელმწიფოებსაც უწოდებდა, ყურადღება მიაქციეთ, რა ხდება რუმინიაშიო და, თუ თავის ნებით არ მოახდინა საჭირო ცვლილებანი, ძალით ვაიძულოთო. ინგლისის საზოგადოება ხომ კიდევ უფრო გააბრაზა რუმინიელ ებრაელთა საცოდაობამ. ამას წინად ლონდონის ლორდმერმა მეჯლისი გაჰმართა და მიიპატიჟა ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი, გარდა რუმინიის ელჩისა. ეს მცირე შეურაცხყოფა არაა რუმინიისათვის და კიდევ მეტს უნდა მოელოდეს, თუ ხელი არ აიღო ებრაელთა ჩაგვრაზე და სახელმწიფოების გული არ მოიგო.

ვისურვებთ, რომ მეტის ენერგიითა და თანხმობით შესდგომოდნენ დიდი სახელმწიფონი რუმინიელ ებრაელთა უნუგეშო მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ტფილისი

◆ ბერუჩაშვილის აზიურს მაღაზიაში ჩვენ ვნახეთ შაჰ-აბაზ 1-ლის სარკე ძვირფასად მოჩუქურთმულ-მოვერცხლილი და ყაენის საკუთარის სიგელით ბოძებული მელიქ შახნაზარაშვილისათვის.

◆ 21 დეკემბერს არტისტიულ საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ საღამო, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბ.ბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალივკა (ვიოლონჩელისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროდი-მუტინი (მომღერალი), ქ. ბაბაევისა, ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა).

◆ დღეს, 4 დეკემბერს, კრება ექნება კავკასიელ სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების მიერ არჩეულ სარევიზიო კომისიას, სხვა-და-სხვა საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

◆ 7 დეკემბერს კრება ექნება სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას, სტუდენტთა თხოვნების განსახილველად.

◆ სასიამოვნო ამბავს გვატყობინებენ გორიდამ: გორელებს გადუწყვეტიათ იანვრიდგან დააარსონ სამკითხველო საკრებულო ტაძრის სამრევლო სკოლის შენობაში. ვისურვებთ, რომ ეს განზრახვა ჩვეულებრივ განზრახვადვე არ დარჩეს.

◆ როგორც მკითხველებმა უწყიან, ამას წინად ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მოედნებისა და ქუჩების მოკირწყვლასა და სახლების დანომრვაზე 1000 მან. დაჰხარჯოს. ეს გადაწყვეტილება ქალაქის თავის მოადგილემ ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად.

◆ ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს, რომ ქალაქის თვით-მმართველობის მოხელენი დაჯილდოებულ იქმნენ მომავალ შობა ახალწლისათვის. სულ 1500 მანეთია გადადებული.

◆ ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს წევრად არჩეული თ. ვ. ს. მიქელაძე ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ამ თანამდებობაზე.

◆ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ქართული კედლის კალენდარი გრ. ჩარკვიანისა.

◆ ხვალინდელ ქართულ წარმოდგენისათვის მოწვეულია ქუთაისიდგან სადებიუტოდ ბ-ნი ქორიძე.

◆ მოგვივიდა „საქართველოს კალენდარი" 1903 წლისთვის, შედგენილი ბ-ნ ვალ. გუნიას მიერ და გამოცემული ქ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ხარჯით. კალენდარი საკმაოდ მოზრდილი წიგნია; შიგ სურათებიც მრავლად აქვს ჩართული. ღირს 60 კაპ.

◆ როგორც ამას წინად მოხსენებული გვქონდა, ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭომ დავალა ქალაქის ექიმებს, დაეთვალიერებინათ ქალაქის სასწავლებელთა შენობანი და დაწვრილებითი ანგარიში წარმოედგინათ საბჭოსათვის. როგორც ექიმების მოხსენებიდგან სჩანს, ზოგიერთი შენობა სრულიად შეუფერებელია სასწავლებლისათვის; მაგ. ოთახები ძლიერ პატარაა, საკლასო ოთახები ნახევარზედ ბნელია, ზოგიერთა კლასში 60-დე შეგირდია; არც საკმარისი ჰაერი და არც საკმარისი სინათლეა; სასწავლებელთან არ არსებობს საგემნასტიკო ოთახი, სადაც ბავშვებს შეეძლოთ ივარჯიშონ უამინდობის დროს. თუმცა, ქალაქი ზოგიერთ შენობის ქირას წელიწადში 900 მანეთს და მეტსაც იხდის, ფეჩები ისე ცუდად არის მომართული, რომ მათი გათბობა შეუძლებელია; ამ უხერხულობას-კი ის შედეგი მოაქვს, რომ ბავშვები ცივ ოთახებში მეცადინობენ.

◆ ქალაქის ხელოსანთა მოურავის თავმჯდომარეობით შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს მოურავის მიერ უკვე გაშინჯული ადგილი ბ-ნ შანშიევისა. ეს ადგილი ქალაქის ხელოსნებმა უნდა შეიძინონ ხელოსანთა გამგეობის შენობის ასაგებად.

◆ ხელოსანთა მოურავისვე თავმჯდომარეობით შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ბ-ნ გროსსის მიერ წარმოდგენილი პროექტი შესახებ მარკის სისტემით გარდასახადის შემოღებისა.

—

29 ნოემბრის სამეურნეო საზოგადოების კრება.

(დასასრული *).

შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით თავ. ლ. ჯანდიერმა სიტყვიერად განმარტა თავისი მოხსენების უმთავრესი მუხლები და ყველა ის საბუთები, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებლად ხდიან პროექტის განხორციელების საჭიროების საქმეს. ჩვენ რამდენად ვიცით, განმარტა თავ. ლ. ჯანდიერმა, საზოგადოება წინააღმდეგია თურმე ჩემი პროექტისაო, ჩემი პროექტის მოწინააღმდეგენი ასახელებენ, რომ ჩვენ საქმის კედლად მოწყობისათვის რადიკალური საშუალებანი არ აღვნიშნეთ. კარგი და კეთილი, ჩვენ ამ მოწინააღმდეგებზე ნაკლებ არ გვაქვს შეგნებული, თუ რა გვარი საშუალებანია ამ ჟამად საჭირო, მაგრამ ამ ღონისძიებათა განხორციელებას დრო უნდა, დღეს-დღეობით ათასიც რომ გვინდოდეს, არავინ არ განგვიხორციელებს ჩვენს სურვილს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სწავლა-განათლების მკვიდრთა შორის გავრცელება თითქმის უადგილოდ და უსაფუძვლოდ შეიქმს ჩემ მიერ ნაჩვენებ პალლიატივ საშუალებებს, მაგრამ როდის მოვახერხებთ ამ საკეთილო საქმის მოწეს-რიგებას. აი, სანამ სწავლა-განათლების საქმეს მოვაწყობდეთ როგორმე საფუძვლიანათ, საჭიროა ხალხს დახმარება აღმოვუჩინოთ. ყველაზე უფრო ახლო ხალხთან ამ ჟამად პოლიციის მოხელენი სდგანან და ამიტომ და ამიტომ საჭიროა, რომ ამ მოხელეთა უფლებანი გაფართოვდეს. შეიძლება დღევანდელი ადმინისტრაციის მოხელენი სავსებით ვერ ამართლებდნენ თავის დანიშნულებას და ამასთანავე საეჭვოც იყოს კეთილ-სინიდისიერად ისარგებლონ გაფართოებული უფლებებით, მაგრამ ეს საქმის არსებით მხარეს სრულიადაც არ შეეხება. ვინ გვიშლის, რომ უფრო კეთილ სვინიდისიერი მოხელენი ავირჩიოთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუკი პოლიციის უფლებანი გაფართოვებულ იქნებიან, ხალხი უთუოდ საკეთილოდ გამოიყენებს ადმინისტრაციისათვის ამ უფლებათა მინიჭებას. თ. ლ. ჯანდიერმა მოაგონა დამსწრე საზოგადოებას თავისი პროექტის ორი უმთავრესი თეზისი და ამ თეზისების დასასაბუთებლად მოიყვანა კერძო მაგალითები თავისი პრაქტიკიდგან და უმტკიცებდა საზოგადოებას, რომ პოლიციის მოხელენი ყოველ ამგვარ კერძო შემთხვევებში დიდ დახმარებას გაუწევდნენ საზოგადოებას, რომ იგინი სასამართლო უფლებით ყოფილიყვნენ აღჭურვილნიო. გარდა ამისა, თავ. ლ. ჯანდიერის აზრით, სოფლად ბოროტმოქმედება იმდენად გავრცელდა, რომ სასამართლო უღონოა დამნაშავე აღმოაჩინოს, რადგანაც ამისათვის ბევრი ფორმალური პირობებია საჭირო. რომ ამ გარემოებას ჯეროვნად თავი შემოევლოს, საჭიროა, რომ თვით სოფლის საზოგადოებამ ზღოს ზარალი იმ კაცთა სასარგებლოდ, რომელთაც ამგვარი ზარალი მოსდით ამა თუ იმ ბოროტმომქმედთა მეოხებით. დაბოლოს ბ-ნ ლ. ჯანდიერმა წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას ბ-ნი ბუტკევიჩის გამოკვლევა, რომელიც, ბ-ნ ჯანჯდიერის აზრით, პროექტის საბუთიანობას ამტკიცებდა. თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენებამ ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. ბ-ნმა ალ. ქადანთარმა განმარტა, რომ ადმინისტრაცია უღონო იქმნება, რომ კერძო საკუთრებას ჯეროვანი ჯირისუფლობა გაუწიოს. საჭიროა ცხოვრების პირობები გაუმჯობესდეს, რომ საკუთრების შეუხებლობა სავსებით დაცულ იქმნას. ხოლო რაიც შეეხება თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენების მეორე ნაწილს, ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ სასოფლო-საზოგადოების ძალის დატანება, გინდა თუ არა უსათუოდ გადაიხადე სოფლად რისამე დაკარგულის საფასურიო, მაინცა და მაინც ვერა კარგი საშუალება, ეს ზომა ვერ მოიტანს სასურველს შედეგს. გარნა თუ თვით სოფლელები შეიგნებენ ამ ზომის საჭიროებას და თვითონვე შემოიღებენ ამ ურთიერთშორის დაზღვევებას, ეს სულ სხვა იქნება და ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ზომაც სარგებლობას მოიტანს. თავ. ი. ბარათაშვილი წინააღმდეგი იყო იმ მოსაზრებისა, რომ ადმინისტრაციას მინიჭებოდა სასამართლოს თუნდაც ზოგიერთი უფლებები, რადგან თვით საქმის კეთილად წარმართვისათვის მავნებელია, როცა აღმასრულებელ რომელიმე ორგანოს კანონმდებლობითი უფლებაც მიენიჭება. ადმინისტრაციის მოხელენი აღმასრულებელი ორგანოები არიან და ამავე დროს რომ მათ კანონმდებლობითი უფლებაც მიენიჭოს, ეს სრულიად საქმის ვითარებას არევდარევს. მთელი აწინდელი კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს, რომ მართლაც ამგვარი ცვლილება მოახდინოს მთავრობამ. თავ. ი. ბარათაშვილის აზრით მეორე ნაწილი თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენებისა, რომელიც შეეხება საურთიერთო დაზღვევას, ეს ფრიად საჭირო ზომაა და მიღებულ უნდა იქმნას მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ დაზღვევის შემოღება ძალდატანებით არ უნდა მოხდეს. ბ-ნი ი. ქუთათელაძე ფიქრობს, რომ თ-დი ლ. ჯანდიერის პროექტის პირველი ნაწილი უნდა გარდაეცეს იურიდიულ კომისიას, რადგანაც ამ საგნის განხილვა სპეციალურ იურიდიულ ცოდნას მოითხოვს. რაიცა შეეხება მოხსენების მეორე ნაწილს, ეს ზომა საზოგადოებას ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს. ყოველგვარი ბოროტების შემცირება შესაძლოა მხოლოდ სწავლა-განათლების გავრცელებით. აი ჩემის აზრით ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აგ. სააკოვმა მოახსენა საზოგადოებას, რომ ადმინისტრაცია მეტად დატვირთულია თავისი პირდაპირი მოვალეობით და კიდევ მის კომპეტენციის გაფართოვება საქმის საზარალოდ დაბოლოვდებაო. თუ გვინდა რომ მართლაც ჩვენი ცხოვრების ანორმალური პირობანი შეიცვალოს, ბოროტ-მოქმედება შემცირდეს, ხალხი გამოფხიზლდეს, საჭიროა გავამრავლოთ მომრიგებელ მსაჯულთა ინსტიტუტი, უნდა შემოღებულ იქმნას ჩვენ ქვეყანაშიაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ბ-ნი ისარლოვი საქმის სასარგებლოდ ჰპოვებს, რომ შემოღებულ იქმნას კავკასიაში გამმიჯნველი კომიტეტები. ბ-ნ ნ. ელიავამ თავის ვრცელ სიტყვაში განუმარტა საზოგადოებას მეტად საფუძვლიანი არგუმენტებით, რომ თ-დ ლ. ჯანდიერის მოხსენებას არც ერთი ნაწილი არაა შესაწყნარებელი, რადგანაც მოხსენებაში წამოყენებული ზომები არ შეეფერებიან აწინდელ ცხოვრების ვითარებას. საზოგადოება ამ ჟამად ფიქრობს ერობის, ნაფიც მსაჯულთა და სხვა სასარგებლო ინსტიტუტების შემოღებას და სწორედ ამ დროს თ.დი ლ. ჯანდიერი გვიმტკიცებს თავის მოხსენებით, რომ ყველა ამისათვის ჩვენში ნიადაგი არაა მზათაო. გვიკვირს, რომ საზოგადოება ამგვარი მოსაზრე-

---

*) იხ. „ივერია" № 259.

ფელეტონი

სოფელი და სოფლელნი

(შემდეგი მეშვიდე წერილისა *)

თავად-აზნაურობის ვითარება და გავლენა.

დღემდე არ არის შესწავლილი საქართველოს წარსული ცხოვრება, არ არსებობს ჯერ ისტორიული გამოკვლევა, არ არის აწონ-დაწონილი და შემოწმებული ისტორიული ფაქტები; აგრეთვე არ არის განხილული, დასაბუთებული და ყველასაგან აღიარებული არც ერთი ფაქტორი ჩვენის ცხოვრებისა, და ამიტომ, როდესაც აწმყო ვითარების გამოკვლევა გვსურს, არ შეგვიძლიან ისტორიული ფაქტები არ ავწონ-დავწონოთ და მათი გავლენა და მნიშვნელობა არ აღვნიშნოთ. ყველამ ვიცით, რომ აწმყო შედეგია წარსულისა და, თუ არ შევისწავლეთ სათავე ჩვენის ცხოვრებისა, ახლანდელს მდგომარეობასაც ვერ შევიგნებთ.

იძულებული ვარ შევეხო ისეთს გარემოებას, რომელსაც თითქო არავითარი კავშირი არა აქვს-რა აღძრულ საგანთან. მაგრამ სწორედ საჭიროა აღვნიშნო, რადგან ცხადი და ყველას ეჭვს გარეშეა.

ვგონებ, ყველა დამერწმუნება, რომ წარსულში მხოლოდ ორი თვალ-საჩინო ელემენტი იყო ჩვენში, რომელიც სულ სხვა-და-სხვა სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაში იმყოფებოდა: ერთის მხრივ უმაღლესი წოდება—თავად-აზნაურობა და სამღვდელოება და მეორეს მხრივ გლეხ-კაცობა. მესამე კლასი (ე. ი. მოქალაქენი) თითქმის სულ არ არსებობდა, და არც არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა ახლად შემოხიზნულს უცხო გვარ-ტომის მოქალაქეს; თვით ქალაქსაც არავითარი ეკონომიური მნიშვნელობა არა ჰქონდა რა: ქალაქი იყო მხოლოდ ციხე-სიმაგრე.

გლეხ-კაცობა, როგორც წინადაც აღვნიშნეთ, არავითარ კულტურულ ძალას არ წარმოადგენდა, განცალკევებული, დაქსაქსული იყო და შებოჭილი თავის კუთხე-მხარის უზომო სიყვარულით. ამასთანავე ეს გლეხ-კაცობა იყო მხნე, ძლიერი სულით და თითქმის უძლეველი, როდესაც-კი იბრძოდა თავის კუთხე-მხარის დასაცველად.

თავად-აზნაურობა იყო ძლიერი წოდება, ხელთ-ეპყრა სახელმწიფო, მართვა-გამგებლობა და ყოველ-გვარი თანამდებობა: სამხედრო, სამოქალაქო და თვით სასულიეროც; თითქმის ყველა კათედრა თავად-აზნაურების გვარის ეპისკოპოზებს ეჭირათ. ამ ძლიერს და განათლებულს წოდებას, დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე და მათ შორის რამდენსამე ძლიერს და დიდებულს გვარს (ფეოდალებს) მეტადრე. ამ გავლენით დიდებულნი ხშირად სარგებლობდნენ თავის კერძო ინტერესებისათვის. სწორედ ეს კერძო ინტერესები იძულებულ ჰყოფდა ამ დიდებულ თავად-აზნაურობას მეფის ძალა და მნიშვნელობა შეესუსტებინა. ეს იყო თვალსაჩინო მიზეზი, რომ საქართველოს არა ჰყავდა ძლიერი მეფე და მთავრობა.

მეფის გაძლიერება უქადიდა ფეოდალებს უპირატესობისა და უფლების ჩამორთმევას და ამასთანავე გავლენის და მნიშვნელობის დაკარგვას და ამიტომ დიდებულნი ყოველ ღონეს ჰხმარობდნენ, რომ მეფე არ გაეძლიერებინათ.

რადგან მესამე წოდებას (მოქალაქეებს) არავითარი ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონდა, თითქმის არც არსებობდა და ჩასათვლელიც არ იყო, ამიტომ მეფის მომხრე გლეხ-კაცობა-ღა უნდა ყოფილიყო; მაგრამ, რაკი ეს უკანასკნელი გამსჭვალული არ იყო ეროვნულ გრძნობით, ამიტომ ვერ შეიგნო მეფის მნიშვნელობა, როგორც ეროვნულ ძალის გამომსახველისა. დიდ უმრავლესობას მეფე, როგორც მეფე, ანუ ეროვნული ძალა, არ სწამდა და მხოლოდ იმ მეფეს ემხრობოდა, რომელიც სახელს გაითქვამდა სახელმწიფოში თავის ვაჟკაცობით, სიბრძნით, ანუ სხვა რამ ხასიათით, თვისებით და გარემოებით. როდესაც საქართველოს ამისთანა მეფე ელირსებოდა, ქვეყანა ფერს იცვლიდა და ხალხის საგმირო საქმენი ყველას აოცებდენ, გარეშე და საშინაო მტერი დამარცხებული და დათრგუნვილი იყო. იმ მეფის დროს-კი, რომელსაც ხალხი არ თანაუგრძნობდა, დაიწყებოდა ხოლმე დაუსრულებელი მოძმეთა ჟლეტა; ერთი მხარე ებრძოდა მეორეს, ძმა ძმას აღარ ინდობდა, მამა შვილს, და გაოხრებულ ქვეყანას გარეშე მტერი ეპატრონებოდა.

ამისთანა დროს ადვილად შეეძლო ყოველ გავლენიან და წარჩინებულ თავადს, ანუ აზნაურს რომლისამე კუთხის გლეხ-კაცობა მიემხრო და მიესია სხვა კუთხისათვის, ანუ თვით მეფის საწინააღმდეგოდაც გაელაშქრებინა.

რადგან საქართველოში შორს გამჭვრეტი და ძლიერი მეფე იშვიათი იყო, ჩვენი წარსული ცხოვრებაც დაუსრულებელ მოძმეთა ბრძოლას წარმოადგენდა: ამისთანა არა მამულიშვილურის ქცევით ყოველთვის სარგებლობდა გარეშე მტერი.

დიაღ, ძმათა ბრძოლა საქართველოში მუდმივი იყო, რადგან ხალხი არ იყო გამსჭვალული ერთის ძლიერის საერო გრძნობით და ეს იყო ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა, გაიზარდა და გაძლიერდა არა ერთი სამშობლოს მუხანათი.

ვისაც ჩვენის გლეხ-კაცობის ეკონომიური მდგომარეობა შესწავლილი არა აქვს, შესაძლოა ეგონოს, რომ თავად-აზნაურობას მთლად ჩვენი გლეხ-კაცობა დამონებული ჰყავნდა წარსულში და ფეოდალი თავის მონებს ძალას ატანდა ებრძოლნათ მეფის ანუ რომელისამე სხვა ფეოდალის საწინააღმდეგოდ, როგორც დასავლეთ ევროპაში იყო. ეს აზრი შემცდარია და ყველა აიცილებს ამ შეცდომას თავიდან, თუ მიიღებს მხედველობაში, რომ აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალი გლეხ-კაცობა, რომელსაც არავითარი ბატონი არა ჰყვანდა, ხუთჯერ მაინც იყო მეტი საბატონო გლეხობაზედ, ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ (როგორც საბატონო, ისე თავისუფალი გლეხ-კაცობა) და, თუ ერთმანეთს მხარს მისცემდნენ და მეფეს მიემხრობოდნენ, როგორც საერო ძალას, ვერავითარი ფეოდალი წინ ვერ გადაეღობებოდა და ამით დიდ გავლენასაც მოიპოვებდნენ. გლეხ-კაცობა რომ დამონებული არ იყო, შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს: მეფის და თავად-აზნაურობის ბატონობას და გაძლიერებას თავისუფალი გლეხ-კაცობა ყოველთვის ებრძოდა. ვერც მეფემ და ვერც თავად-აზნაურობამ ვერა ღონის-ძიებით ვერ დაიმორჩილეს ხევსურები, ფშავლები, მთიულები, თუშები, ქიზიყელები და სხვა-და-სხვა ალაგას მცხოვრები თავისუფალი გლეხ-კაცობა. ბევრი მოძმეთა სისხლი დაინთხა ამ ბრძოლაში, მაგრამ გლეხ-კაცობა მაინც თავისუფალი იყო და შეიარაღებული მედგრად ებრძოდა ყველას, ვინც-კი მის დამონებას მოინდომებდა. მაგრამ ამასთანავე ეს გლეხკაცობა სხვა დროს დიდის პატივით ექცეოდა თავად-აზნაურობას, რადგან თავად-აზნაურობა ესაჭიროებოდა, როდესაც გარეშე მტერი მოადგებოდა საქართველოს და ყოველი მხარე და ხევ-კუთხე შიშობდა და მოელოდა აოხრებას.

ფშავლები, მართალია, თავისუფლობის დასაცველად ებრძოდნენ თავად-აზნაურობას და არ დამორჩილდნენ, მაგრამ გასაჭირს დროში ვერ დაივიწყებდნენ, რომ „გმირთ სისხლით შეღებილს" ბარში იყო „ოქროთ ნაქარგი გულ-მკერდი ზედ მარგალიტის ღილითა", რომელიც მედგრად გადაეღობებოდა მტერს, როცა სამშობლო მხარეს მოადგებოდა. ხალხის სიყვარული თავად-აზნაურობისადმი დასურათებულია არა ერთ სახალხო ლექსსა და ზეპირ-გარდმოცემაში. მე თვითონ არა ერთხელ გამიგონია ამისთანა ლექსი. თვით თავისუფალნი და მამაცნი თუშნი აღტაცებით იგონებენ წარსულ გმირებს და დიდის პატივით იხსენიებენ თავად-აზნაურობას. სათუშოში, სოფელ დანოს ჩავწერე ერთი ლექსი. რომელიც ქორწილში ბრმა თუშის ქალმა მაო (მარიამ) ლუხუმაშვილისამ დამღერა და იქ მყოფ თუშების თანაგრძობა და მოწონება დაიმსახურა. აი ის ლექსიც:

ვინა ხარ? სადაური ხარ?
არა ხარ ჩვენის ერისა...
ბატონის ელჩი მგონიხარ,
გამოგზავნილი შორითა!
მთისი არ გაირობს შარბათი:
აზნაური ხარ ბარისა.
ტანთ გაცვი ჯაჭვი ბექქარი,
საყელო გადაღებული;
შენ ცხენი ჰყავი იგეთი,
ნიავი გამოშვებული!
ზედა ზის კარგი მხედარი,
ალვაი ამოშვებული!
ხართ აქეს შუბი არაზნა...
თათრების ჯარში გაღრია:
ზოგი ცხენს გაალახვია,
ზოგი კარავსამც დახვია!
ცხენზე შეჯდების ქორია,
ჩამოხდებ აზნაურია!..

(შემდეგი მეშვიდე წერილისა იქნება)

მ. ტფილისელი.

---

*) იხ. „ივერია" №№ 26, 27, 37, 51, 52, 60, 65, 94, 96, 252.

ბის წინააღმდეგ პროტესტს არ აცხადებს თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენება არაა შესაწყნარებელი სხვა მოსაზრების გარდა მითაც, რომ ეს მოხსენება არ შეესაბამება არც იმ დადგენილებათ, რომელიც ამდენ ხანს მოუხდენია საზოგადოებას და არც იმ დადგენილებით, რომელსაც შემდეგს მოახდენს საზოგადოება. ამ რიგად თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენება უარყოფილ უნდა დარჩეს.

საკამათო საგანი გადაუწყვეტელი დარჩა, რადგან უკვე გვიან იყო და შემდეგი სჯა ამ საგნის შესახებ გადაიდო 3 დეკემბრისათვის.

—

ტფილისის საბჭოს კრება. ორშაბათს, ორს დეკემბერს, მოხდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება, კრებაზედ გამოცხადდა 74 კაცი. კრებას უნდა განეხილა ზოგიერთი საყურადღებო საგნები; ერთი ამ საგანთაგანი იყო ხმოსან ნ. ი. თამამშევის განცხადება, შესახებ იმისა, რომ დაარსდეს ქალაქის გამგეობასთან იმისთანა კომისია, რომლის დასახელებითაც ხმოსანი ამოირჩეს ხოლმე ამა თუ იმ კომისიის წევრად. ამ საგანმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია. ხმოსანმა ქიუზარიანცმა განაცხადა, რომ კარგი იქნება დაარსდეს ამისთანა კომისია; ხმ. მირზოევი. მე არ თანაუგრძნობ ამისთანა კომისიის დაარსებას; ჩემის აზრით, თუ რომელიმე ხმოსანი დაასახელეს რომელსამე კომისიის წევრად და იგი არა ჰგრძნობს საკმარისს ღონეს, რომ პირნათლად ემსახუროს კომისიის დანიშნულებას, ამისთანა ხმოსანმა არც უნდა იკისროს კომისიის წევრობაო. ნ. გ. არღუთინსკი. დავაწესოთ ისე, რომ თვით ხმოსნებს შეეძლოთ დაასახელონ ის კომისია, რომლის წევრობაც სურთ იკისრონო და რა სფერაში სურთ მუშაობაო. ავთანდილოვი. პრაქტიკამ უკვე ნათლად დაგვანახვა, თუ რა შედეგი და ნაყოფი მოაქვს იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე წევრი, ერთსა და იმავე დროს რამდენისამე კომისიის წევრად ითვლება ხოლმეო; ჩემის აზრით, კარგი იქნება, ერთხელ და ერთხელ დაწესდეს, რომ ერთსა და იმავე წევრს შეეძლოს სამი სხვა-და-სხვა კომისიის წევრობა და არა მეტისაო. ნ. ვ. არღუთინსკი. რამდენადაც მახსოვს, ასეთი კომისია, როგორსაც გვირჩევს ხმოსანი თამამშევი, არსებობს პეტერბურგის ქალაქის თვით მართველობასთან, მაგრამ პეტერბურგის კომისია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითებს ხოლმე, როცა კომისიის წევრებს ეძლევათ გასამრჯელო; ჩვენში-კი თუ რომელიმე ხმოსანი მოღვაწეობს კომისიაში, ეს მისი ნებაყოფლობაა; ამიტომ მე ვერ დავეთანხმები ბ-ნ თამამშევის წინადადებას, რადგანაც, შეიძლება ამისთანა კომისიამ ბევრს მუშაობის ხალისიც დაუკარგოსო.

კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა შესტაკოვმა განაცხადა, საგანი საკმარისად გამოირკვა და გთხოვთ, ვინც თანაუგრძნობთ თამამშევის წინადადებას, წამოდექითო; წამოდგა სამი კაცი: ბაბოვი, თამამშევი და ლისიციანი. ამის შემდეგ კრების თავმჯდომარემ წაიკითხა ხმოსან ბალდასაროვის განცხადება. ბალდასაროვმა განაცხადა, ავერ რამდენიმე წელიწადია, ქალაქის გამგეობამ შეადგინა კომისია, რომელსაც დაევალა ივანოვის და მელიქ-ნუბაროვის დასაგირავებელ კასების რევიზია; კომისიამ უკვე მოახდინა რევიზია და თვისი დასკვნაც წარმოუდგინა გამგეობასაო; როგორც რევიზიამ აღმოაჩინა, ამ კასებში ბევრი ნივთები იყიდებოდა და ბოლოს დროს პატრონები აღარსად სჩანდნენ, რომ გაყიდვით შემოსული მომეტებული ფული მიეღოთო. ანგარიშებიდგან სჩანს, ნუბაროვისა და ივანოვის კასებში 8 ათასი მანეთი მოგროვებულიყო მომეტებული, რამდენსამე წელიწადს ამ ფულის სარგებლით ზემოხსენებულ კასების პატრონები სარგებლობდნენო; ამ ჟამად ეს ფული ქალაქის გამგეობას აბარია. კარგია გავიგოთ, რა ჰქნა გამგეობამ, ან იღონა რამ რომ ჩაებარებინა ეს ფული პატრონებისათვის, თუ არა. რამდენადაც შევიტყე, გაყიდულ ნივთების პატრონთა შორის ბევრს მიუმართავს გამგეობისათვის და უთხოვნია კიდეც ფული. რა პასუხი მისცა გამგეობამ მთხოვნელებს? სულხანოვი: მეც გახლდით იმ კომისიის წევრად და რაც ბ-ნმა ბალდასაროვმა განაცხადა, სრული ჭეშმარიტებაა; მე გადავათვალიერე დამგირავებელი კასების წესები და ვერსად ვერ შევხვდი, სად და ვის უნდა ებარებოდეს ეს ფული; ამიტომ კარგი იქნება ამ საგნის შესახებ შევეკითხოთ სენატს, რომ გვიჩვენოს რამ წესები, რითი ვიხელმძღვანელოთ შემდეგში. ამ ათის წლის განმავლობაში დაიკეტა რამდენიმე კასსა: რაგინოვიჩისა, ნაზაროვისა და სხვა. ამ კასებში ბევრი ოქრო-ვერცხლეულობა დარჩა, წიგნები ამ კასებისა ქალაქის გამგეობას აბარია და არ ვიცით, როგორ და რა გზით მოვიქცეთ, რომ ან პატრონებს დავუბრუნოთ და არ დავუკარგოთ ეს ვერცხლეულობა და ან ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს ნივთებიო. ფრიდონოვი: როგორც ბანკებისთვის, აგრეთვე კასებისთვის არსებობს წესები და არა მგონია, რომ რამე არ იყოს მოხსენებული ამ საგანზედ.

თავმჯდომარემ მოახსენა, ამ საგანზედ გამგეობა მოილაპარაკებს, თუ საჭიროა, შეეკითხება სენატს და შემდეგში ყველაფერს ვაცნობებთ საბჭოსაო.

(დასასრული იქნება)

ჩვენებური ამბები

თავად-აზნაურობის წრევანდელმა საგანგებო კრებამ კეთილ ინება და შემოსწირა კარდანახის სამკითხველოს 150 მ., რომელიც უკვე მივიღე კარდანახის სამკითხველოს წევრნი ამ გულუხვ შემოწირულობისთვის უღრმეს მადლობას უძღვნიან ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წოდებას და თავად-აზნაურთა საგუბერნიო მარშალს თავადს დავით ზაქარიის ძეს მელიქიშვილს.

კარდანახის სამკითხველოს გამგე კნ. ელენე აფხაზისა.

—

დ. ხონი. 24 ნოემბერს აკურთხეს საკვირაო სკოლა და ამ დღიდანვე შეუდგნენ მოსწავლეთა მიღებას. მსურველები ბევრისაგან ბევრი აღმოჩნდა, რომელთაც ლებულობდა ბ-ნი ექიმი, რომლის მეცადინეობით და თაოსნობით იქმნა დაარსებული ეს ძვირფასი დაწესებულება. ზოგიერთი ბავშვები მცირე წლოვანობის გამო არ მიიღეს; თქვენ უნდა გენახათ მათი მოთქმა და ტირილი, როცა თვალ ცრემლიანები, უკან სახლში ბრუნდებოდნენ, იმედ გაცრუებულები.

ახლობელი.

რუსეთი

მოსკოვში ელოდებიან ლ. ნ. ტოლსტოის მოსვლას, სადაც შესანიშნავი მწერალი ორ კვირეს დაჰყოფს.

— საერო განათლების სამინისტროს შეაქვს სახელმწიფო საბჭოში განსახილველად ახალი დებულება ქალთა საექიმო ინსტიტუტის შესახებ, რომლის უფლებანი უნდა გაუთანასწორდეს უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის უფლებათ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ადგენს საგლეხო სამეურნეო ამხანაგობის გაადვილებულს პროექტს. დღევანდელი ამხანაგობის წესდებით სარგებლობენ მხოლოდ შეძლებული მეურნენი და სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა ღარიბ გლეხთათვის. აზრად აქვთ ამხანაგობის გამგეობის წევრთა რიცხვი შეამცირონ, გლეხის ნაწარმოების გაყიდვა კარგად მოაწყონ და მრავალი სხ.

— შავი ზღვის და დუნაის გემთა მიმოსვლის ამხანაგობის ლიკვიდაცია აუცილებელი ყოფილა. აქციონერთა საზოგადო კრება იმ დასკვნამდე მისულა, რომ თუ ხაზინიდგან 350,000 მ. დახმარება არ იქნა, საზოგადოებას არსებობა არ შეუძლიაო.

— **რუზა** (მოსკ. გ.) 20—21 ნოემბერს მოხდა კომიტეტის უკანასკნელი კრება სასოფლო მეურნეობა-მრეწველობის შესახებ. კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ საგუბერნიო კომიტეტის კრებები სახალხოთ, ყველა მსურველთა თანადასწრებით ხდებოდესო.

—

ქართული სადამო ოდესაში. მეტად დაშინებული ვიყავით წელს ადგილობრივი ქართველები; არ გვეგონა, თუ ჩვენი სადამო მიზანს მიაწევდა. წინა წლების მაგალითი თვალ-წინ გვედგა. ბევრი კიდეც წინადუდგა სადამოს გამართვას, მარა ახალგაზდა (აზრით და მიმართულებით) სტუდენტებმა არავის რჩევას არ მიჰხედეს. ქართული სადამოს გამართვა ჩვენი მოვალეობაა, ამბობდნენ ისინი; წელიწადში ერთხელ რუსულ საზოგადოებას გავახსენებთ-გავაცნობთ თავს, ჩვენს მხარეს, წელიწადში ერთხელ დაგვიახლოვებს ქართული საზოგადო საქმე, წელიწადში ერთხელ შეგვბოჭავს ძმური სურვილი ღარიბ ამხანაგების დახმარებისაო!.. გამართეს კიდეც სადამო ნოემბრის 21.

გატაცებით მოეკიდნენ ახალგაზდა სტუდენტები საქმეს. ბევრი ენერგია და დრო დაჰკარგეს სამაგიეროდ სადამო არა ჩვეულებრივი გამოდგა. ყველაფერში დაცული იყო ზომიერება, ყველაფერი თავის ადგილზე იყო. კონცერტული განყოფილება, დეკორაცია, ჩაცმულობა, თამაში—ყველა ნაციონალურ ელფერისა იყო. ქართული გალობის სიდიადემ გააკვირვა საზოგადოება. ხორიც (ადგილობრივ სტუდენტთაგან) კარგი დახელოვნებული გამოდგა. ქართულმა მუზიკამ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი. ზოგიერთი სიმღერა მეორეჯერ გაამეორებინეს, მაგალ. „აბა დელი, დელია“ და „გოგონა“.. სოლისტებიც მეტი გულმოდგინებით მოეკიდებოდნენ საქმეს. ძვირად გაგვიგონია ჩვენშიც „ორთავ თვალის სინათლევ“-ის და „შენ გეტრფი მარად“-ის შესრულება, როგორც ამათგან მოვისმინეთ. არა მშობლიური იყო ჩეხოვის წვრილ-წვრილ შედევრების კითხვა სცენიდან და სკრიპკის კვნესა-გუგუნი.

მეტად ლამაზათ და ორიგინალურად იყო მოწყობილი თვით დარბაზიც. სალს კედლებში გამოჭრილი გვირაბი მედიდურად იდგა, დასავლეთით კედელს ზედ დაჰფრენოდა არწივი და გვერდზე ჩამოჩუხჩუხებდა ჩანჩქერი. ამას გარდა, დარბაზს ამშვენებდა ჩვენებური ნოხ-ხალიჩებით შეფერადებული „კიოსკი“, დუქანი, კედელზე ჩამოკიდებული თოფ-იარაღი, ტროპიკული მცენარეები, სუნელოვანი შადრევანი; რომელი ერთი დავასახელოთ?! ცეკვა გაიხსნა ლეკურით და კინტოურით. ჩვენებური დუდუკი დაჰკვნესოდა თოხში. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა სადამომ. შემოსავალი უხვეული იყო.

დიდი მადლობა ბბ. კ. სულაქველიძეს, ს. ავალიანს, დ. ჯორჯიკიას, მ. სიხაძეს, შ. მიქელაძეს და სხ., რომელთაც ხელი შეუწყვეს და გამართეს სადამო.

ნაცნობი.

უცხოეთი

ინგლისი. ორი დღის კამათის შემდეგ ლორდთა პალატამ მიიღო მეორე წაკითხვით სასკოლო კანონ-პროექტი 147 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 37-სა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დევონშირის ჰერცოგმა, რომელმაც წინადადება შეიტანა, შევუდგეთ კანონ-პროექტის მეორედ კითხვასაო, ზედა პალატის ლიბერალ დასის მეთაურმა ლორდ სპენსერმა და ლორდ როზბერიმ, რომელნიც სრულიად უარ-ჰყოფდნენ კანონ-პროექტს. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო როზბერის სიტყვამ. ლიბერალ პერებმა ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს ორატორი. კენჭის ჩამოტარების დროს უმრავლესობა კონსერვატორებს მიემხრო, უმცირესობას შეადგენდნენ ლიბერალები და შვიდი უნიონისტი. თხუთმეტ ეპისკოპოსთაგან, რომელნიც კრებას დაესწრო, მხოლოდ ერთმა—ჰერეფორდის ეპისკოპოსმა—მისცა მხარი ლიბერალებს.

— ქალაქ ბელფასტის ახლად არჩეულ ლორდ-მერ დიკრიანს განუცხადებია საზოგადოებისათვის,—ირლანდიის მეფის მოადგილისაგან ცნობა მივიღე, რომ მომავალ წლის დამდეგს ინგლისის მეფე ედუარდ მე-VII დედოფლითურთ ირლანდიას ინახულებსო.

ავსტრია-უნგრეთი. უნგრეთის პარლამენტის მდგომარეობა ამ უკანასკნელ ხანებში ცუდად შეიცვალა.

როგორც გამოირკვა, უნგრეთის მთავრობის აზრი—დაეთმო ოპოზიციისათვის სამხედრო კანონ-პროექტის საქმეში, გადაჭრით უარ უყვია ავსტრიის მთავრობას. უნგრეთის მინისტრს-პრეზიდენტ ფონ-სელლის აცნობეს, მორიგ საქმეთა დამთავრებისათანავე წარადგინეთ განსახილველად სამხედრო კანონ-პროექტი. გაიგეს, თუ არა, ეს ამბავი კოშუტის მომხრეებმა, მაშინვე შეუდგნენ გაფაციცებით ობსტრუქციას, რომ მორიგი საქმეების განხილვა შობის დღესასწაულებამდე მაინც გააჭიანურონ. ყველაზე უფრო საყურადღებო კანონ-პროექტს დიდ წინააღმდეგობის გაწევას ემუქრებიან. მათ განზრახვას ის გარემოებაც ცხად ჰყოფს, რომ უფრო ზომიერი მეთაური ამ დასისა კოშუტი,—უკან ჩამოაყენეს და მის მაგიერ დეპუტატი კომიატი გაიხადეს წინამძღოლად; კომიატი—დახელოვნებული და გამოცდილი მეომარია პალატაში, რადგან ზედ მიწევნითა აქვს ობსტრუქციის საქმე შესწავლილი—შეუძლია რამდენიმე საათი ილაპარაკოს განუწყვეტლივ. მთავრობის მდგომარეობას ის გარემოებაც ხელს უშლის, რომ გრაფ აპონიის ჯგუფი ნელ-ნელა ეცლება ხელიდგან ლიბერალთა დასს—მთავრობის კლუბში-კი აღარ დაიარებაო.

შეერთებული-შტატები. ჰავანიდგან იუწყებიან დეპეშით, საურთიერთო საბაჟო ხელშეკრულობა შეერთებულ-შტატებს და კუბას შორის უკვე წარედგინა კუბის წარმომადგენელთ პალატასაო. ჰგონებენ, რომ წარმომადგენელთა პალატის ნაციონალისტები წინააღუდგებიან ამ ხელშეკრულობას და შეიძლება სრულიად უარ ჰყონ იგი, რადგან არა ჰსურთ უფრო დაუახლოვონ შეერთებულ-შტატებსაო. თუ სრულიად არ უარ ჰყვეს, იმდენად მაინც შესცვლიან, რომ შეერთებული შტატები თავად აღარ მიიღებს მასაო. პარასკევს მინისტრთა საბჭოს კრებაზე გეიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ მოსალოდნელია მოლაპარაკების დროს დიდი დაბრკოლება აღმოჩნდესო.

ნარკვევი

განათლებას რომ ერის კულტურულს წარმატებაში დიდი ადგილი უჭირავს, რომ ის ერთი უძლიერესი ფაქტორია ერის წელში გასამართავად,—არ ვიცი, დღეს ვინ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი. რომ ხალხის უგუნურებით, გაუნათლებლობით, უვიცობით სარგებლობენ სოფლის წვრილი მოხელენი ჩარჩები, წურბელები და მრავალი სხვა პარაზიტები, რომ ეს ვაჟბატონები მღვრია წყალში თევზს ადვილად იჭერენ და ეშინიანთ მღვრია წყლის დაწმენდისა და ხელსაც უშლიან—ეს აშკარაა.

დიახ, ჩვენი სოფელი ჩაუყლაპავს უვიცობას და ლამის არის სული ამოჰხდეს. სოფელს ესაჭიროება განათლება, უბრალო წერა-კითხვის ცოდნა, რომ მოვახშის ვექსილს თითონ მაინც მოაწეროს ხელი.

„ხალხს უნდა ვასწავლოთო—ამბობს ბ-ნი ს—ნი Петер. Вѣдомости-ში. ხალხის უგნურებაში ყოფნა იმ აზრით, რომ პოლიციამ ადვილად დაიმორჩილოს და თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს—უზნეობა და მეტად მავნებელი. ხალხს არ ძალუძს განვითარების ერთს და იმავე საფეხურზე გაჩერება. ხალხი სტიქიურად ეძებს თავის სულიერ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საშუალებას. და თუ ვერ მიაღწევს თავის სურვილს, იმით კმაყოფილდება, რასაც ჩასძახებენ.

მაშინ, როდესაც გერმანიის ხალხის განათლებისათვის არაფერი შურს, რუსეთი ამ მხრივ შედარებით ველურს მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ თითქმის უბრალო სკოლაც-კი არა გვაქვს. იმაზედ, თუ რომელი სკოლაა უკეთესი, საეკკლესიო, თუ საერობო, უნდა გიპასუხოთ, რომ ორივე ცუდია. პირველის ტიპის სკოლა სრულიად სხოლასტიკას შთაუნთქამს, მეორეში-კი ასწავლიან ვითომც რასმე, მაგრამ იმ ცოდნას არავითარი გავლენა არა აქვს ცხოვრებაზე.

ერთ დროს საზოგადოებას აინტერესებდა: ძაღლია კუდზე მიბმული, თუ კუდი—ძაღლზეო. ეინტერესებოდათ, გაეგოთ, რა უნდა უწინ ხალხს,—ეკონომიური კეთილდღეობა, თუ მეცნიერული განვითარება?

კონსერვატორები პირველ აზრს იცავდნენ, ხოლო ლიბერალები-კი—მეცნიერებას მხარს უჭერდნენ. თავის თავად საგულისხმოა, რომ ეკონომიური კეთილდღეობა და განათლება უერთმანეთოდ არ შეიძლება, ეს ორი საგანი მჭიდროდ არის ერთმანეთთან შეკავშირებული.

საეკკლესიო სკოლაში აზეპირებინებენ ბავშვებს—თუ რა ხისა იყო ნოეს კიდობანი, საერობო სკოლაში-კი ეუბნებიან, რამდენი კბილი აქვს ციყვს და რამდენი კუდიო. ერთიც და მეორეც ბავშვს უკარგავს ხალისს სწავლისას, მშობლებიც ეჭვის თვალით უყურებენ ამ გვარს სწავლას და გულგრილად ეპყრობიან სკოლის საქმეს. გლეხს წერა-კითხვა მიაჩნია იმ იარაღად, რომელსაც გამოიყენებს ცხოვრებაში და რომელიც დახმარება პრაქტიკულისა და ტეხნიკურის ცოდნის შეძენაში. საზოგადოებამაც ასე უნდა უყუროს სწავლის საქმეს.“

—

გაზ. „Каспій“-ში დაბეჭდილია წერილი სათაურით: არის თუ არა კავკასიაში ეროვნული განცალკევება (**Есть-ли національная рознь на Кавказѣ?**)

ზოგი ამბობს, არსებობს ეროვნული ბრძოლაო, ზოგი ამტკიცებს—არაო.

გაზეთი „ივერია“ ამტკიცებს, რომ სომხები, როგორც ერი, სცდილობენ შთანთქან ქართველნი და ამიტომ უნდა იქნას მიღებული ღონის-ძიება, რათა ქართველობა არ იქმნას ჩაყლაპული სომხობისაგან.

გაზეთი „ბაქო“ ბ-ნ სტარცევის პირით, სულ სხვას ამბობს: კავკასიაში არ არსებობს ეროვნული ბრძოლა; არსებობს მხოლოდ ესრედ-წოდებული კლასებრივი ცილობაო. ქართველთ თავად-აზნაურობა ებრძვის სომეხთა კაპიტალისტებსაო.

გაზეთი „ბაქოს უწყებანი“ ამტკიცებს, რომ ბრძოლა ეროვნებათა შორის დაჰბადა ველიჩკომაო.

ჩვენის აზრით,—განაგრძობს ავტორი წერილისა,—არც ერთი ზემოხსენებული აზრი მართალი არ არის. მართალი არ არის მეტადრე აზრი ველიჩკოს შესახებ. რაც უნდა ჭკვიანი და შორს მჭვრეტელი ყოფილიყო ბ-ნი ველიჩკო, რა მაკიაველისებური ვერაგობაც უნდა მივაწეროთ ამ მწერალს კავკასიის მიმართ, იგი ვერ დაჰმალავდა იმას, რაც არ იყო. ნაწერს განა ვინა კითხულობს? სულ ბევრი ათასში ერთი. მაშასადამე, ერთის კაცის ნაწერი, რაც უნდა აგზნებული იყოს, ვერაფერს ახალს ვერ შეჰქმნის ერთა ურთიერთობაში. თითოეული ჰქმნიდა ამისთანა სასწაულებს ძველად, წინასწარმეტყველთა დროს, როცა ხალხსა სწამდა მათი ცასთან სიახლოვე, მაგრამ ეგ დრო უკვე წავიდა.

მაგრამ თუ ბ-ნს ველიჩკოს ბანს აძლევდა ვინმე, თანაუგრძობდა, მაშ, სჩანს, მისი ნაწერი ეხებოდა ჩვენთვის საინტერესო საგანს, ეხებოდა ისეთს წყლულს ჩვენის საზოგადო ცხოვრებისას, რომელიც ჯერ არ გამთელებულა.

რა არის ეგ საგანი, ეგ წყლული და სატკივარი?

რასაკვირველია, არა კლასებრივი ბრძოლა, როგორც ზოგიერთი პუბლიცისტი ამტკიცებს. კლასებრივი ბრძოლა—ეგ ისეთი ბუნდოვანი ცნებაა, ათას-ნაირად გასაგები და განსამარტი, რომ მაგით ვერ აიხსნება ურთიერთობა სხვა-და-სხვა ერთა შორის. თუ მაგ სიტყვებს ისე გავიგებთ, რომ მდიდარს, ნივთიერად კმაყოფილს ებრძვის ღარიბი, დაუკმაყოფილებელიო, მაგაში მაგ მოვლენას უნდა ეჩინა თავი ერთის ერის წარმომადგენელთა შორის, ქართველებშიაც, სომხებშიაც. სომეხს მეჭარხნეს, დიდ-მოსამქეს წინ დაუდგებოდა სომეხი მუშა, თავის მარჯვენის ანაბარად დარჩენილი; ქართველს დიდ მემამულეს დაუწყებდა ბრძოლას უმამულო მუშა-კაცი. მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ და ეგ შეუძლებელიც არის ჯერ ჩვენში. მაგ მოვლენამ რომ თავი იჩინოს, საზოგადოება უნდა დანაწილდეს და თვითოეულმა ნაწილმა უნდა შეიგნოს თვისი დაჩაგრულობა, თვისი სოლიდარობა. ეს-კი შესაძლებელია მაშინ, როცა მდაბიო ხალხი ერთობრივ აღმატებული იქნება გონებრივის განვითარებით.

მართლაცა და განა ევროპაში-კი დიდი ხანია დაიწყო ეგ კლასებრივი ბრძოლა? განა დიდი ხანია, რაც „მეოთხე კლასმა“ ცოტად თუ ბევრად შეგნებით დაუწყო ყურება თავის თავს ჯერ ევროპაშიაც-კი?!

მაშ, რა არის მიზეზი ეროვნულის ბრძოლისა კავკასიაში?

უპირველეს ყოვლისაო,—ამბობს ავტორი,—ეროვნული სრულიად ამაოდ არის ნახმარი. ეროვნული განცალკევება იმ აზრით, რომ სომხები ებრძოდნენ, ვსთქვათ, თათრებს, თათრები—სომხებს, ქართველნი კიდევ სომხებს—ჯერ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ჩვენში. ამას შეურყევლად ამტკიცებს ჩვენი ყოველ-დღიური ცხოვრება სოფლად და იმ დაბა-ქალაქად, სადაც ბედს ერთად შეუყრია ან სომხები და ქართველები, ან სომხები და თათრები. ყველგან, სადაც-კი ერთად სცხოვრობენ ქართველები, სომხები, თათრები და იმათსაქმეში არავინ ერევა; სცხოვრობენ თავიანთ ბუნებისა, თავიანთ ინსტიქტებისა, ტრადიციებისა, ისტორიულ და ყოფა-ცხოვრებისა მოგონებათამებრ, იქ ყოველთვის მშვიდობიანობა, მეგობრობა და სოლიდარობა სუფევს. იქ ყველა კარგად ჰგრძნობს, რომ ყველას ერთი საზოგადო სამშობლო აქვს, ყველანი ერთ ბედ-ქვეშ არიან. ეს გრძნობა, ეს შეგნება აწესრიგებს მათ ურთიერთობას და ასე თუ ისე აქარვებს და ცოტად თუ ბევრად სპობს მათ შორის სარწმუნოებრივსა და ტომობრივს განსხვავებას. მიბრძანდით რომელსამე სოფელში, ან პატარა დაბა-ქალაქში, სადაც „კულტურტრეგერები“ არ არიან და ჰნახავთ, რომ თითქმის აღარავითარი განსხვავება არ არსებობს სხვა-და სხვა ხალხს შორის არც ზნითა და ჩვეულებით და არც ენითაც-კი. ჭირსა და ლხინში ერთად არიან, ერთმანეთს მეზობლობენ; სიწმინდენი და სალოცავნიც-კი ერთი აქვთ არა მარტო ქართველთა და სომეხთა, არამედ სომეხთა და თათართაც.

ასეა იქ, სადაც „კულტურტრეგერები“ არ გაჩენილანო. იქ-კი, სადაც განათლება შემოსულა, სადაც ქალაქის ცხოვრება წინ წასულა, იქ სულ სხვა სურათს ვხედავთ, იქ ეროვნულს მიმართულებას თავი წამოუყვია და მძულვარება დაბადებულა ერთა შორისაო. ავტორის აზრით, ეროვნული განცალკევება დაჰბადა უფრო საქალაქო რეფორმის შემოღებამ.

ავტორი ბოლოს ჰქადაგებს ერთობას, ძმობას და კეთილ მეზობლობას.

სასამართლო

30 ნოემბერს, ტფილისის სასამართლო პალატაში, პირველ დეპარტამენტში გაირჩა საყურადღებო სამოქალაქო საქმე ქ. ფოთისა და დესელენჩიცისა. აი გარემოება საქმისა. ამ რამდენისამე წლის წინედ ქალ. ფოთს გაუცია იჯარით თავის თავისუფალი მიწები, ერთი ნაჭერი ამ მიწისა იჯარით მიუცია ბ-ნ დესელენჩიცისათვის და თან ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ თუ სამი წლის განმავლობაში არ ააგო შენობა, მაშინ ბ-ნი დესელენჩიცი ჰკარგავს უფლებას ამ მიწაზე, რადგან დესელენჩიცს არ შეუსრულებია თავისი პირობა და ვადაც გასულა. ქალაქის თავს მიწა ჩამოურთმევია მოიჯარადრისათვის. დესელენჩიცმა საჩივარი შეიტანა და უფლების აღდგენას თხოულობდა.

ფოთის მსაჯულმა უყურადღებოდ დასტოვა მოიჯარადრის თხოვნა; ქუთაისის ოლქის სასამართლომ-კი იცნო მისი უფლება ქალაქისაგან დარღვეულად. ქალაქმა განასაჩივრა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინება პალატაში. პალატამ გაარჩია ეს საყურადღებო საქმე და განჩინების გამოცხადება გადასდო მომავალ შაბათისათვის.

ბიბლიოგრაფია

„ზრდილობა და ცხოვრების ცოდნა“. თარგმანი ნინო ვაჩნაძისა. ბათუმი. 1892 წ.

პატარა და კოხტად გამოცემულია ეს წიგნაკი, ბათუმში, მათე ნიკოლაძის მიერ. წიგნშია დარიგება შესახებ იმისა, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, როგორ მოიქცეს, რომ ჯანის სიმრთელით დასტკბეს და პატიოსანის კაცის სახელი ატაროს. კაცი უნდა იყოს საქმიანი, ალერსიანი, სინიდისიანი, იცოდეს მეგობრობა, არ უნდა იყოს თავმოყვარე, ძუნწი, ყბედი...

წიგნი კარგის ენით დაწერილია და ყრმათა გასაგებად. შინაარსის მხრივ იგი ეკუთვნის უფრო იმგვარს წიგნებს, რომელნიც ვრცელდებიან სამრევლო სკოლებში.

მ. ჯ.

წერილები

რედაქციის მიმართ.

I

გულითადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ რომან კობეშავიძეს, რომელმაც ხონის ქალების პროგიმნაზიას შემოსწირა წელს გრამოფონი სხვა-და-სხვა სასიმღერო ნოტებით, ღირებული 150 მან.

მასწავლებლის უფროსი ელენა ბახტაძე.

II

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს მე კარგად მახსოვს, რომ სტუდენტთა შორის ხშირად, ბაასის დროს, წარმოითქმოდა ხოლმე ის აზრი, რომ კარგი იქნება დაარსდეს ქართულის მუსიკის მოყვარულთა წრე, რომელიც განაგებდეს ქართულის სიმღერა-გალობის ბედ-იღბალსა; ამისთანა მათ აზრს, რასაკვირველია, თავის საფუძველი ჰქონდა და უფრო-კი ის, რომ ჩვენი ხალხური სიმღერების ქება-დიდება რუსებისა და სხვათაგან ყოველ მხრივ კაისმოდა; გავიდა დრო და ჟამი, ყველანი დაიქსაქსნენ და მეც მოვექეც ტფილისში; საუბედუროდ, მე, როგორც არც ქონებისა და არც გავლენის პატრონს, ძალიან მეძნელებოდა ამ საქმის დაწყება, მაგრამ მეორის მხრით მყავდა იმისთანა მეგობრები და ნაცნობები, რომელნიც მიცნობდნენ და მეც გაგებული მქონდა მათი აზრი ამ საგანზედ; მაშასადამე, რას დავერიდებოდი მათ?

ა სწორედ ამან გამაბედვინა ამ ორი წლის წინად, ერთს მშვენიერს დღეს, მივსწერე ათიოდე კაცს ბარათი, და ვიწვევდი, რომ მობრძანებულიყვნენ და თავიანთ რჩევითა და ცოდნით დაესახელებინათ ზომები, რომლითაც გაუმჯობესებულიყო ქართულის სიმღერა-გალობის ბედ-იღბალი. ჩვენდა საბედნიეროდ, ერთს კრებაზედ პატივცემულმა ზაქარია ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ მე, აგერ ორი წელიწადია კიდეც შევადგინე პროგრამმა და წესდება „ქართულ მუსიკის მოყვარეთა წრისათვისაო“; პატივცემულის ჩხიკვაძის ამისთანა განცხადებას ყველანი დიდის სიხარულით მიეგებნენ და სთხოვეს, თუ შეიძლებოდა, მის მიერ შემუშავებული წესდება გადაეთვალიერებინათ, შეევსოთ და სარჩულად იგი დახდებოდა მომავალ „ქართულ მუსიკის მოყვარეთა წრეს“. ბ ნ ზ. ჩხიკვაძემ, რასაკვირველია, სურვილი განაცხადა. მაშინვე ამოირჩიეს კომისია, რომელსაც მიანდვეს ამ საგნის დაწვრილებით განხილვა და შემუშავების შემდეგ, როგორც კრებამ გადასწყვიტა, შევსებული პროგრამისა და წესდების მოწონება მაინც-და-მაინც უნდა მინდობოდა ქართველ საზოგადოების ინტელიგენციას. კომისიის წევრნი ბ.ბ. მირიანაშვილი, კარაევი, თვით ჩხიკვაძე დიდის მუყაითით შეუდგნენ პროგრამის განხილვას, გამოიწერეს სხვა-და-სხვა მუსიკალურ საზოგადოების პროგრამმები და რაც-კი რამ შესამჩნევი და საყურადღებო იყო, ყველაფრით ისარგებლეს. დანამდვილებით ვიცი, რომ პროგრამმა საბოლოვოდ შემუშავდა და მისი გადაწერა მიანდეს თვად ჩხიკვაძეს; საუბედუროთ მას აქეთია გავიდა ორი წელიწადი და აღარაფერი არა ისმის რა ამ საქმისა. უფრო მეტს ვიტყვი: რომ არ შემცდეს, ხუთჯერ-ექვსჯერ მაინც ვიყავ ჩხიკვაძესთან, ხან სათავად-აზნაურო სკოლაში, ხან ბინაზე, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ვნახე. მომწყინდა უკან დევნა და მეც მივანებე თავი. საუბედუროდ, ბოლოს მესმა, ვითომც პატივცემულ ჩხიკვაძისთვის ვისმე რამე ეწყეინებინოს და, ვითომც ვისმეს მოესურვებინოს საქმის დაწყების მითვისება. ამ ამბავმა ყველას გული ატკინა: თუ ჩემთან ვნიშნავდი ხოლმე კრებებს, ამის მიზეზებიც იყო—იმ დროს კარაევს შვილები ჰყავდა ავად და თავათ ჩხიკვაძისაგანაც დიდად დავალებულად ვსცნობდით თავს და როგორ-და შევაწუხებინა? მეორედ ეს ჩხიკვაძეც სამჯერ-ოთხჯერ შევაწუხეთ და მასთანაც გვქონდა კრებები.

მე პირადათ დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს ბ-ნი ჩხიკვაძე, როგორც აქამდის, დიდს სამსახურს გაუწევს, თუ უკვე შემუშავებულ წესდებას მსვლელობას მისცემს და ინებებს, რომ აჩვენოს უფრო მცოდნე კაცებს; ჩვენი სიმღერა-გალობა არამც თუ ევროპიულს, არამედ ჩვენი მეზობელ ხალხის—სომხურ მუსიკასაც-კი ჩამორჩა და ვისაც ჩვენი წინსვლა უღირს რამედ, ეს საქმე მისგან გულმტკივნეულობას თხოულობს, უფრო-კი პატივცემულ ზაქარია ჩხიკვაძისაგან, რომელმაც ისე გულმოდგინეთ მოჰკიდა თავდაპირველად ამ საქმეს ხელი.

ი. კარგარეთელი.

III

გულითადს მადლობას ვუცხადებ თქვენის გაზეთის საშუალებით, თელავის და სიღნაღის მაზრის სამღვდელოებას და განსაკუთრებით დეკანოზს მიხეილ ხელაშვილის, კეთილ-მოწესეებს ისიდორე ვაჩეიშვილს და კირილე ღვთისავარიშვილს, მღდლებს: იროდიონ შავლიშვილს, ვასილ მენთეშაშვილს, ნიკოლოზ ბენაშვილს, გიორგი ფურაძეს, ირაკლი ცინცაძეს, მიხეილ მენთეშაშვილს და დიაკვნებს ზაქარია ბაღაშვილს და ვლადიმერ მჭედლიშვილს, თბილისის მაზრის უჯარის წმიდის გიორგის ეკლესიის მღ. დიმიტრი მჭედლიძეს. ამათ დიდი შემწეობა აღმოუჩინეს ჩემი სავანის მონაზვნებს, რომლებიც ნება-დართული წიგნით დადიოდნენ ხსენებულ მაზრებში ფულის შესაგროვებლად სასარგებლოდ ჩემდამო რწმუნებულის ჯიხეთის დედათა სავანის ახალ ასაშენებელ ქვის ეკლესიისა, რომლის დამთავრებას კიდევ სჭირდება სამი ათას-ხუთას მანეთამდე, გარდა კანკელისა და შიგ მოწყობილებისა. უზენაეს არსებას მხურვალედ ვევედრებით, მიმბაძველნი ზემო განცხადებულ სამღვდელოებისა კვლავ აღმოჩნდენ ჩვენს მეტად ღარიბს სავანეს და მათი შემწეობით შეგვძლებოდეს დაწყებული საქმის მორულება. მოწიწებით და სიმდაბლით გსთხოვთ ყველა გაზეთის წამკითხველებს თავიანთი წვლილი მოგვაწოდონ ფულად, ან ეკკლესიის სამკაულად, და მით მოგვცენ ღონე ეკკლესიის შენობის მორულებისა და გამშვენებისა.

ბურიის ჯიხეთის დედათა სავანის წინამძღვარი ელენე.

Адресъ:
Станція Ланчхути Кут. Губ., Настоятельницѣ Джихетской женской общины Еленѣ.

„ივერიის“ ფოსტა:

იაგო ტ—ლს. თქვენი პოემა „მოხუცის ფიქრები“ არ დაიბეჭდება.

გ. ს—ძეს. თქვენი პირველად დაწერილი ლექსი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 დეკემბერი.

კარაკასი. „სტეფანეს სააგენტო“ იუწყება, იტალიის ელჩმა მიჰმართა ვენესუელის მთავრობას მტკიცე მოთხოვნილებით, იტალიის ქვეშევრდომთ უზღოს 2,810,255 ბოლივიანესით.

პუერტო-კაბელლო. 30-ს ნოემბერს ორმა სამხედრო გემმა დაუშინა ზარბაზანი ციხე-სიმაგრეს, საიდგანაც სროლა მალე ჩაჩუმებულ იქმნა. ქალაქს ვნება არ მისცემია.

ლიუნევილი. გაიხსნა ძეგლი რომანისტის ერკმან შარტრიენისა. ბანკეტზე ანდრემ გამოუცხადა ნდობა ჯარს ქვეყნის დაცვისა და რესპუბლიკურ დაწესებულებათა ერთგულებისათვის.

კონსტანტინეპოლი. ხორველა გაჩნდა დამასკში. ბეირუთიდგან გამოსულს ყოველიფერს სინჯვენ.

შერბურგი. ბანკეტზე პელლეტანმა სთქვა, რომ იდეალი ის არის, რომ ყველა ხალხებში იყოს თანხმობა, ემორჩილებოდეს მოთხოვნილებას და იქმოდეს მას, რასაც გვიბრძანებს უმაღლესი ინტერესები და პატივი საფრანგეთის დროშისა.

პოტსდამი. საიმპერიო კონცლერმა მიიღო ჰოჰენცოლერნების ორდენის ძეწკვი.

ვენა, ავსტრიის იმპერატორმა უბოძა ბიულოვს თავისი სურათი სამთა კავშირის განახლებისა გამო.

3 დეკემბერი.

პეტერბურგი. სახელიწიფო საბჭოს წევრს ვეშნიკოვს 50 წლის სიმსახურის გამო ებოძა პირველი ხარისხის ვლადიმარის ორდენი.—შინაგან საქმეთა მინისტრმა აღკრძალა გაზეთ „Биржев. Вѣдом.“ ნომრობით ყიდვა.—მიწად მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტი აცხადებს ს. ს. ვეშნიაკოვის სახელობაზე დანიშნულია პრემია იმ შრომისათვის, რომელიც სასოფლო მეურნეობას შეეხებიო.

არიოლი. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე წაბრძანდა რიგო-არლოვის რკინის გზით.

ბაქო. დაიწყო ნავთის მწარმოებელთა კონგრესი.

ლაგუარა. „ხარიბდის“ მატროსებმა დაიჭირეს ლიბერტორის სიმაგრე. ჰოლანდის გემი იტყობინება, რომ ვენეცუელის ხომალდი „ზამორი“ აღებულიაო.

პარიჟი. ჟურნალისტთა კრებამ, რომელიც „Nord“-ის თანამშრომელის ფაბრიცის დაჭერის გამო მოხდა, დაარადგინა, რომ ეთხოვოს მინისტრ-პრეზიდენტს კერბერს ფაბრიცის განთავისუფლების შესახებ. თხოვნაზე ყველა რედაქტორები ხელს აწერენ.

ლაგუარა. იერიში 45 წუთი გაგრძელდა.—კასტროს დეპეშამ დაიგვიანა. ლიბერტის და სალაიოს კოშკები დანგრეულია. კოშკის კომანდირი ტყვედ იქმნა წაყვანილი; ორი დაჭრილია.

ლონდონი. პრეზიდენტმა კასტრომ ბრძანება გასცა, რომ რეპრესალიური ღონისძიებანი გაუქმებულ იქმნას და ბრიტანია-ვერმანიის რკინის გზის საზოგადოებას დაუბრუნდეს ქონებაო.

ბერლინი. იმპერატორმა მოისურვა გრაფ ბიულოვისთვის თავადობა მიენიჭებია, მაგრამ თვითონ კანცლერის თხოვნით თავის განძრახვას თავი დაანება.

ვაშინგტონი. ამერიკის გემი „მარიეტა“ ლაგუარაშია.

ლაგუარა. გერმანთა ჯარმა ხელთ იგდე „რესტოროდორის“ სამი ხომალდი.

ბერლინი. როგორც ამბობენ, „Korkarts“ წინაალმდეგ საქმე, რომელსაც ვითომც კრუპისთვის შეურაცყოფა მიეყენებიოს, მოსპობილიაო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,64½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	301½ მყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88½ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის	89⅜ წვრ. გაყ.
გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	99½ მყიდ.
აქციები ,, ,, ,, ,,	495
,, კასპიის ამხანაგობისა	4650 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	420 წვრ. გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	202 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ბორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

სუხუმში დაიწყო ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია.

5 დეკემბრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში ანსახილველად დანიშნულია საქმე ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორის მოხელედ ნამყოფის გიორგი პრიგოროვსკისა და სენაკის მაზრის მცხოვრების სილოვან ჟორდანიასი, რომელთაც ყალბ საბუთების ქაღალდების შედგენა ბრალდებათ.

—

7 დეკემბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საინტერესო საქმე ყაზანის მაზრის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფის ნიკოლოზ რომანოვსკისა, რომელსაც ბრალდება თავის საყვარლის ლესკოვის ქალის მოკვლა.

ამავე დღეს სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე თავად ლევან შერვაშიძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ედება ბრალად.

—

17 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის შეგირდის დ. კვახაძისა, რომელსაც ბრალად ედება ამავ გიმნაზიის ფრანგულის ენის მასწავლებელ ქალის არნოლდის მოკვლა კლასში

—

30 ნოემბერს, ტფილისის მეორე მომრიგებელ მოსამართლე არჩევდა საყურადღებო საქმეს ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნის არშაკ სტეფანის ძის ბუდაღოვ-ბადასაროვისა, რომელსაც ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველი ირაკლი ფურცელაძე უჩივის ცილის-წამებას. ეს საქმე ბ-ნ ფურცელაძის ვექილის გ. რცხილაძის თხოვნით გადაიდო სხვა დროისთვის.

—

7 დეკემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია ბათუმში გაარჩევს საქმეს ყაზახ თავართქილაძისა და სხვ...

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის		30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გოგურის	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა ანა ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილის	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილის	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50

„ЖИВОПИСНОЕ ОБОЗРѢНІЕ“ издается въ 1903 г. НОВЫМЪ ИЗДАТЕЛЕМЪ, вступившимъ въ свои права въ Сентябрѣ 1902 г. и УДОВЛЕТВОРИВШИМЪ всѣхъ Гг. Подписчиковъ согласно даннымъ обѣщаніямъ. Въ 1902 г. всѣмъ подписавшимся было разослано

52 №№ еженед. журнала 12 книгъ ежемѣсячн. журнала. 24 томо сочин. Генрика Сенкевича. 12 №№ моднаго журнала. 24 офорта и эстампа и „АЛЬБОМЪ КРАСАВИЦЪ“.

Подписавшіеся на 1903 г. до 25-го Декабря 1902 года получатъ *при подпискѣ даромъ* роскошный альбомъ: ТРЕТЬЯКОВСКАЯ ГАЛЛЕРЕЯ. 24 автотипіи въ роскошной папкѣ, на хромовой бумагѣ.

193 цѣнныхъ прилож.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ
НА СТАРѢЙШІЙ
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ, ЛИТЕРАТУРНЫЙ, ОБЩЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ

68 ГОДЪ ИЗДАНІЯ

ЖИВОПИСНОЕ ОБОЗРѢНІЕ

подъ редакціей: Н. С. БАРАНЦЕВИЧА (общая редакція) и Н. Н. КАРАЗИНА (художественный отдѣлъ).

Въ портфелѣ редакціи для напечатанія въ 1903 г. имѣются: М. Н. Альбова—пов.; К. С. Баранцевича—Этюды изъ петербургской жизни; А. Н. Будищева—романъ: А. Е. Зарина—ром. *„Неудачники“* (Современныя метаморфозы); Н. Н. Каразина—пов. *„Грозная ночь“*; А. А. Луговаго—повѣсть; Д. Л. Мордовцева—истор. романъ; В. И. Немировича-Данченко—ром. *„Бѣлецъ изъ Назарета“*; И. Н. Потапенко—романъ *„Совѣсть“*; А. М. Ѳедорова—ром. *„Доброе дѣло“*.

◆ Въ 1903 году Гг. Подписчики получатъ: ◆

52 №№ ХУДОЖЕСТВЕННАГО ЖУРНАЛА, НА РОСКОШНОЙ ВЕЛЕНЕВОЙ БУМАГѢ. Въ художественномъ отдѣлѣ этого журнала будутъ помѣщаться снимки съ картинъ и скульптуры лучшихъ художниковъ всего міра; въ литературномъ—оригинальныя произведенія выдающихся нашихъ писателей и поэтовъ и переводныя—обратившія на себя общее вниманіе. Отдѣльно № 50 коп.

52 №№ журнала „Иллюстрированная недѣля“. Откликъ на всѣ текущія міровыя событія. Портреты выдающихся дѣятелей. Фотографическіе снимки и рисунки корреспондентовъ.—Біографіи и некрологи.—Хроника событій.—Новости театра, художествъ и литературы.—Злободневные фельетоны. На жизнь провинціи будетъ обращено особое вниманіе. Отдѣльно № 30 коп.

52 №№ „ПОЛЬЗА и РАЗВЛЕЧЕНІЕ“. Статьи по всѣмъ вопросамъ знанія и практич. жизни.—Полезныя свѣдѣнія по всѣмъ вопросамъ домашняго обихода.—Шутки, юмористич. стихотв., карикатуры.—Шахматы, шашки, домино, карты и пр., игры и забавы для дѣтей и взрослыхъ. Иллюстраціи. Отдѣльно № 20 коп.

12 КНИГЪ литературнаго, общественнаго и популярно-научнаго журнала, по программѣ большихъ ежемѣсячныхъ журналовъ. Ц. отд. книги 75 коп.

12 №№ журнала „МОДЫ“ Письма изъ Парижа, Лондона, Вѣны. Отд. № 50 к.

12 листовъ новѣйшихъ выкроекъ и вышивокъ. Отд. л. 50 к.

До 10,000 стр. текста. ПОЛНАГО ИЛЛЮСТРИРОВАННАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ знаменитаго юмориста *До 900 иллюстрацій.*

52 ТОМА ЧАРЛЬЗА ДИККЕНСА ТОМА 52

въ переводѣ лучшихъ русск. переводч. До 900 иллюстрац. художниковъ Джона Форстера, Сеймура и мног. друг. Отд. каждая книга 75 коп.

Всѣ приложенія къ „Живоп. Обозр.“ печатаются на хорошей и плотной бумагѣ одинаковаго оттѣнка, что крайне важно для годового комплекта.

Альбомъ можно видѣть въ магазинахъ, принимающихъ подписку. Альбомъ изготовленъ въ количествѣ ТОЛЬКО 100.000 экз. Сверхъ этого количества Редакц. *за немедл. дост.* альбома не отвѣчаетъ.

Всѣ подписавшіеся на 1903 г. до 25 Декабря 1902 г. получатъ
немедленно и безплатно
„ТРЕТЬЯКОВСКУЮ ГАЛЛЕРЕЮ“
РОСКОШНЫЙ АЛЬБОМЪ на крашеной (хромо-мѣловой) бумагѣ, въ элегантной папкѣ.
24 автотипіи. Размѣръ 35×56 стм. Въ отд. прод. стоитъ 12 руб.

Гг. городскіе подписчики получаютъ альбомъ безъ всякой приплаты за пересылку. Гг. иногородніе подписчики уплачиваютъ за пересылку 1 руб. Альбомъ продается отдѣльно по 12 руб.

Цѣна на годъ съ доставкой и пересылкой 8 руб. Допускается разсрочка: ПРИ ПОДПИСКѢ 3 руб., КЪ 1-му АПРѢЛЯ 3 руб. и КЪ 1-му ІЮЛЯ 2 руб., ИЛИ первые шесть мѣсяцевъ по 1 руб. 50 к. Желающіе получить „Альбомъ“ прилагаютъ къ первому взносу ЗА ПЕРЕСЫЛКУ 1 РУБ. Гг. городскіе подписчики въ разсрочку получатъ „Альбомъ“ по внесеніи всей подписной суммы, либо при подпискѣ, уплачивая *лишній рубль*, КОТОРЫЙ ЗАСЧИТЫВАЕТСЯ ПРИ ПОСЛѢДНЕМЪ ВЗНОСѢ.

Порядокъ выдачи журнала: Журналъ выходитъ по воскресеньямъ.—Къ каждому № прилагается: № „Иллюстрированной недѣли“, „Польза и Развлеченіе“ и книжка Диккенса.—Въ первое воскресенье ежемѣсячно—„Модный Журналъ“; во 2-е воскресенье—„Выкройки“; въ 4-е воскресенье—книжка Литер. Обществ. научнаго журнала.

Журналъ и всѣ приложенія печатаются въ типографіи „Живописнаго Обозрѣнія“ въ С.-Петербургѣ, по Лейхтенбергской ул., въ соб. д., № 33, на спеціально приспособленныхъ машинахъ.

Подписка принимается въ Главной Конторѣ „Живописнаго Обозрѣнія“: С.-Петербургъ, Невскій пр. 69, и во всѣхъ книжн. магазинахъ.
Отв. Изд. Д-ръ-Мед. В. И. Раммъ. Отв. Редакторъ К. С. БАРАНЦЕВИЧЪ.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.